საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-1761
31/05/2023

1761-გ-2-202305311534

**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ სალომე დვალს**

**ქალბატონო სალომე,**

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ" (შემდგომში კომპანია) განიხილა 2023 წლის 11 მაისის N21/3503 წერილი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ,,კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „მეგა ჰოლდინგის" მიერ მდ. მტკვარზე სასარგებლო წიაღისეულის (1 077 900 მ$^3$ ქვიშა-ხრეში) მოპოვების პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნების წარმოდგენას.

გაცნობებთ, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად გამოყოფილი ლიცენზირებული ტერიტორია მდებარეობს კომპანიის კაპიტალში რიცხული კავთისხევის სატუმბი სადგურის ზევით, მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით 1100 მეტრში. აღნიშნული სატუმბი სადგური ემსახურება შიდა ქართლის რეგიონის 2200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მორწყვას.

კასპის მუნიციპალიტეტში, სალიცენზიო ტრიტორიის სიახლოვეს, მდ. მტკვრის ჭალა-კალაპოტში კარიერული მეურნეობების ინტენსიური ფუნქციონირების შედეგად, მნიშვნელოვნად არის დარღვეული მდინარის კალაპოტისა და ჭალის ჰიდრომორფოლოგიური პირობები, რის გამო გართულებულია კავთისხევის სატუმბი სადგურით წყლის საანგარიშო რაოდენობის აღება. შპს „მეგა ჰოლდინგის" მიერ 1 077 900 მ$^3$ მოცულობის ინერტული მასალის მოპოვების შედეგად წარმოქმნილ ქვაბულში დანამდვილებით დაიწყება მდინარის ნაკადით ტრანსპორტირებული მყარი ნატანის აკუმულაცია, რაც გამოიწვევს კალაპოტის სიღრმული ეროზიის გააქტიურებას როგორც ზედა, ასევე ქვედა უბანზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მდინარის კალაპოტის სიღრმული ეროზიის გააქტიურებისას მიმდინარეობს მდინარის ფსკერის და შესაბამისად წყლის დონის დადაბლება. წყლის დადაბლებული დონის პირობებში კი შეუძლებელი იქნება აღნიშნული სატუმბი სადგურის წყალშემწოვი მილებით წყლის აღება, რომლის ნიშნულები დადგენილია სატუმბი სადგურის დეტალური პროექტის დამუშავებისას სანტიმეტრების სიზუსტით. აღნიშნული სატუმბი

სადგურის უწყლოდ დატოვების შემთხვევაში კი მოურწყავი დარჩება შიდა ქართლის რეგიონის მნიშვნელოვანი ფართობი.

აქვე გაცნობებთ, აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს ეცნობა კომპანიის მოსაზრება 2022 წლის 24 მარტს №გ-865 წერილით, რაც არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია წინააღმდეგია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მითითებული ტერიტორიის ფარგლებში მოსაწყობი ქვიშა-ხრეშის კარიერის ფუნქციონირების.

თან ერთვის 24.03.2023 წლის №გ-865 წერილი.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

**გიორგი ხუბუა**

**ექსპლუატაციის დირექტორი**